სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგებები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 6
3. წინა პერიოდის კორექტირებები/რეკლასიფიკაციები 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 8
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 12
6. ამონაგები რეალიზაციიდან 13
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 13
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი 13
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი 14
10. ფინანსური ხარჯი 14
11. ძირითადი საშუალებები 15
12. არამატერიალური აქტივები 16
13. სასაქონლო მატერიალური მარაგები 16
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17
15. ფული და ფულის ეკვივალენტები 17
16. კაპიტალი 17
17. მიღებული სესხები 18
18. საგადასახადო ვალდებულებები 19
19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 19
20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 19
21. პირობითი ვალდებულებები 20
22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები 20

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ 22
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 23
3. სუბიექტის განვითარების გეგმები 24
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა 24
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 24
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები 24
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “კავკაზ ცემენტი”-ის სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს “კავკაზ ცემენტი”-ის და მისი შვილობილი საწარმოების (ერთად - ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვეღო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთის სისრულესა და სიზუსტეზე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაშთი შესაბამისად შეადგენს 6,261, 6,964 და 7,843 ათას ლარს, ხოლო სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემთხვევაში კი 6,062, 5,286 და 6,876 ათას ლარს. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ პოტენციური უზუსტობის ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიური პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებობაში და ფიზიკურ კონდიციაში 2023-2022 წლის 31 დეკემბერის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 3,195; 2,870 და 2,215 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ჯგუფს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქვს მანქანა-დანადგარები ღირებულებით 4,550 ათასი ლარი. ჩვენ ვერ შევძელით შერჩევითი ფიზიკური დათვალიერების გზით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება შესაბამისი აქტივების არსებობასა და რაოდენობრივ სისწორეზე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

ECOVIS®
ATA FINANCE

ჯგუფმა 2010 წელს შეიძინა 60% წილი შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუპ“- ში, ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი და აუცილებელი ინფორმაცია რომ განგვესაზღვრა ეს ბიზნეს კომბინაცია აისახა მსს ფასს-ის მე-19 განყოფილების, „საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი“ მოთოვნების შესაბამისად თუ საწარმომ გამოიყენა ნებაყოფლობითი გამონაკლისი და ისე აღრიცხა ეს ბიზნეს კომბინაცია. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ მოხდა თუ არა საწარმოთა გაერთიანების საწყისი აღიარება მსს ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აღნიშნული უზუსტობის ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ არ დავსწრებივართ სალაროს ნაშთის ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ. კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებისა და აქტივების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ალტერნატიური პროცედურებითაც ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ფულადი სახსრების არსებობაში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 1,159 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 22-26 გვერდებზე) მოიცავს კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ECOVIS®
ATA FINANCE

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

16 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

16 დეკემბერი, 2024

თბილისი, საქართველო

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	6	89,711	64,452
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(63,945)	(48,503)
საერთო მოგება		**25,766**	**15,949**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(9,200)	(7,597)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(4,698)	(4,226)
სხვა საოპერაციო წმინდა ხარჯი		(417)	(144)
საოპერაციო მოგება		**11,451**	**3,982**
ფინანსური შემოსავალი		208	7
ფინანსური ხარჯი	10	(1,718)	(1,918)
საკურსო მოგება		31	3,778
მოგება დაბეგვრამდე		**9,972**	**5,849**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(9)
წლის სრული შემოსავალი		**9,972**	**5,840**
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		4,892	3,816
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		5,080	2,024
წლის სრული შემოსავალი		**9,972**	**5,840**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 16 დეკემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

5-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ამონაგები რეალიზაციიდან	6	89,711	64,452
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(63,945)	(48,503)
საერთო მოგება		**25,766**	**15,949**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	8	(9,200)	(7,597)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(4,698)	(4,226)
სხვა საოპერაციო წმინდა ხარჯი		(417)	(144)
საოპერაციო მოგება		**11,451**	**3,982**
ფინანსური შემოსავალი		208	7
ფინანსური ხარჯი	10	(1,718)	(1,918)
საკურსო მოგება		31	3,778
მოგება დაბეგვრამდე		**9,972**	**5,849**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(9)
წლის სრული შემოსავალი		**9,972**	**5,840**
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		4,892	3,816
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		5,080	2,024
წლის სრული შემოსავალი		**9,972**	**5,840**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 16 დეკემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

5-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	22,614	22,814	25,191
არამატერიალური აქტივები	12	295	320	427
სულ გრძელვადიანი აქტივები		**22,909**	**23,134**	**25,618**
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	3,195	2,870	2,215
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	6,062	5,286	6,876
გაცემული სესხები		4	32	178
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	9,451	3,124	865
სულ მიმდინარე აქტივები		**18,712**	**11,312**	**10,134**
სულ აქტივები		**41,621**	**34,446**	**35,752**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	16	32,497	32,497	32,497
სახაზინო აქციები	16	-	-	(1,032)
საემისიო შემოსავალი	16	184	184	-
კაპიტალში კონტრიბუცია	16	5,077	5,077	5,077
დაუფარავი ზარალი	16	(45,200)	(50,092)	(53,908)
სულ მფლობელის კაპიტალი		**(7,442)**	**(12,334)**	**(17,366)**
არამაკონტროლებელი წილი		13,469	8,575	7,953
სულ კაპიტალი		**6,027**	**(3,759)**	**(9,413)**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	17	27,965	27,605	30,923
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**27,965**	**27,605**	**30,923**
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	18	1,362	1,757	1,476
მოკლევადიანი სესხები	17	6	136	3,488
გადასახდელი დივიდენდები	16	-	1,743	1,435
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	6,261	6,964	7,843
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**7,629**	**10,600**	**14,242**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**41,621**	**34,446**	**35,752**

5-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	სახაზინო აქციები	საემისიო შემოსავალი	კაპიტალში კონტრიბუცია	დაუფარავი ზარალი	სულ მფლობელის კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2022	**32,497**	**(1,032)**	**-**	**5,077**	**(53,908)**	**(17,366)**	**7,953**	**(9,413)**
წლის სრული შემოსავალი (გადაანგარიშებული)	-	-	-	-	3,816	3,816	2,024	5,840
სახაზინო აქციების გამოსყიდვა	-	(1,060)	-	-	-	(1,060)	-	(1,060)
სახაზინო აქციების გახსვისება	-	2,092	184	-	-	2,276	-	2,276
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:								
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	-	(1,402)	(1,402)
31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	**32,497**	**-**	**184**	**5,077**	**(50,092)**	**(12,334)**	**8,575**	**(3,759)**
წლის სრული შემოსავალი	-	-	-	-	4,892	4,892	5,080	9,972
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:								
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	-	-	-	(186)	(186)
31 დეკემბერი 2023	**32,497**	**-**	**184**	**5,077**	**(45,200)**	**(7,442)**	**13,469**	**6,027**

5-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული შემოსავალი	**9,972**	**5,840**
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	2,196	2,616
ფინანსური ხარჯი	1,718	1,918
ფინანსური შემოსავალი	(208)	(7)
ზარალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	4	-
მოგების გადასახადის ხარჯი	-	9
მარაგების გაუფასურების რეზერვის (შემცირება)/ზრდა	127	(84)
უიმედო და საეჭვო ვალების რეზერვის ხარჯი	179	283
საკურსო მოგება	(31)	(3,778)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	**13,957**	**6,797**
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(452)	(571)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(977)	2,059
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(678)	84
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(395)	281
ცვლილებები დივიდენდის ვალდებულებებში	(1,743)	308
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	**9,712**	**8,958**
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(9)
გადახდილი პროცენტი	(579)	(407)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**9,133**	**8,542**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,814)	(131)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	91	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(251)	(1)
გაცემული სესხების დაფარვა	28	146
საინვესტიციო აქტივობებში (გამოყენებული)/მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(1,946)**	**14**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
დაფარული სესხი	(855)	(4,857)
გადახდილი დივიდენდი	(186)	(1,402)
მიღებული პროცენტი	208	7
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	**(833)**	**(6,252)**
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**6,354**	**2,304**
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	**3,124**	**865**
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(27)	(45)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**9,451**	**3,124**

5-20 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „კავკაზ ცემენტი“ (შემდგომში კომპანია) როგორც სააქციო საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2008 წლის 15 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205253928.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, კეკელიძის ქ., 13 კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის საქართველო, თბილისი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის 29

კომპანიის მეწილეები: მშობელი კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა ანგარიშგების თარიღისთვის, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის არ შეცვლილა და იყო შემდეგი:

აქციონერები	**31 დეკემბერი 2023**	**31 დეკემბერი 2022**	**1 იანვარი 2022**
შპს "ანოდაინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."	77.51%	87.07%	87.07%
ხუნწარია ირაკლი	3.34%	3.34%	3.34%
როდზიანკო პოლ	6.65%	1.56%	1.56%
ბიბილეიშვილი ანდრო	12.50%	0.39%	0.39%
დენის კარლ პრაისი	0.0015%	0.0015%	0.0015%
სს კავკაზ ცემენტი (სახაზინო აქციები)	-	6.66%	6.66%
ტაბატაძე ნიკა	-	0.49%	0.49%
ტაბატაძე სოფიო	-	0.49%	0.49%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

სს „კავკაზ ცემენტის“ საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის იან ჰეიგი (78%).

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად ,,ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	**საქმიანობის სახე**	**2023**	**2022**	**2021**
შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუფ	ცემენტისა და ბეტონის წარმოება/რეალიზაცია	60%	60%	60%
შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯია	ინერტული მასალების ამოღება/რეალიზაცია	100%	100%	100%
შპს სურამის ქვიშა	უმოქმედო	100%	100%	100%
შპს კავკაზ ცემენტ ვესტ	უმოქმედო	16.74%	16.74%	16.74%
შპს თბილცემენტი	უმოქმედო	61.8%	61.8%	61.8%

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ცემენტის, ბეტონის და ინერტული მასალების წარმოება, მათი რეალიზაცია საბითუმო და საცალო მოვაჭრეებზე.

ჯგუფი წარმოებისთვის ფლობს ქარხნებს, ქარხნები განთავსებულია ავჭალის, მუხრანისა და კახეთის გზატკეცილის ლოკაციებზე. ყველა ტიპის ცემენტი იწარმოება ავჭალაში. ბეტონის მიწოდება ხორციელდება ავჭალისა და კახეთის გზატკეცილის ქარხნებიდან. ინერტული მასალები იწარმოება მუხრანში. კვარციანი ქვიშის დამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ხაშურში, დაბა სურამის მიმდებარედ. ბეტონის საწარმო მდებარეობს ოზურგეთში სოფელ ნატანებში.

მშობელი საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არსებული ინვესტიციების მართვა.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, მენეჯმენტი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

3. წინა პერიოდის კორექტირებები/რეკლასიფიკაციები

წინა პერიოდის შეცდომები არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ელემენტების გამოტოვება, წარმოქმნილი ერთი ან რამდენიმე პერიოდის წინ იმის გამო, რომ ვერ იქნა ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო, როცა შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ნებადართული იყო საჯარო გამოქვეყნებისათვის და მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

წინა პერიოდის კორექტირება

წინა პერიოდის კორექტირებები სრულად უკავშირდება 2022 წელს აქციების გამოსყიდვა/გაყიდვასთან დაკავშირებულ ოპერაციას კერძოდ, 2022 წელს ჯგუფმა ნიკა და სოფიო ტაბატაძეებისგან სრულად გამოისყიდა მათ საკუთრებაში

3. წინა პერიოდის კორექტირებები/რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

არსებული 9,030,073 ცალი ფასიანი ქაღალდი, გამოსყიდვის ღირებულებამ შეადგინა 1,060 ლარი, სადან 611 ლარით შემცირდა მათ მიმართ არსებული მოთხოვნა, ხოლო 449 ლარით გაიზარდა ვალდებულება.

გამოსყიდული სახაზინო აქციები 2022 წელს სრულად რეალიზებულ იქნა შპს "ანოდაინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."-ზე 2,276 ლარად, აღნიშნულით სრულად შემცირდა სასესხო ვალდებულება, ფინანსური ხარჯის და საკურსო მოგების ცვლილება სრულად უკავშირდება სესხის შემცირების შედეგად მის გადაანგარიშების ეფექტს.

კორექტირებების შედეგი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2022	კორექტირება	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	22,814	-	22,814
არამატერიალური აქტივები	320	-	320
სულ გრძელვადიანი აქტივები	**23,134**	**-**	**23,134**
მიმდინარე აქტივები		-	
სასაქონლო მატერიალური მარაგები	2,870	-	2,870
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,897	(611)	5,286
გაცემული სესხები	32	-	32
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,124	-	3,124
სულ მიმდინარე აქტივები	**11,923**	**(611)**	**11,312**
სულ აქტივები	**35,057**	**(611)**	**34,446**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	32,497	-	32,497
სხვა კაპიტალი	(1,032)	1,216	184
კაპიტალში კონტრიბუცია	5,077	-	5,077
გაუნაწილებელი მოგება	(49,825)	(267)	(50,092)
სულ მფლობელის კაპიტალი	**(13,283)**	**949**	**(12,334)**
არამაკონტროლებელი წილი	8,575	-	8,575
სულ კაპიტალი	**(4,708)**	**949**	**(3,759)**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	29,542	(1,937)	27,605
სესხი დამფუძნებლისგან		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**29,542**	**(1,937)**	**27,605**
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	1,757	-	1,757
მოკლევადიანი სესხები	208	(72)	136
გადასახდელი დივიდენდები	1,743	-	1,743
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6,515	449	6,964
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**10,223**	**377**	**10,600**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**35,057**	**(611)**	**34,446**

2022 წლის წლის შედეგებზე კორექტირების ეფექტი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

3. წინა პერიოდის კორექტირებები/რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

	2022	კორექტირება	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	64,452	-	64,452
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(48,503)	-	(48,503)
საერთო მოგება	**15,949**	**-**	**15,949**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	(7,597)	-	(7,597)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(4,226)	-	(4,226)
სხვა საოპერაციო წმინდა ხარჯი	(144)	-	(144)
საოპერაციო მოგება	**3,982**	**-**	**3,982**
ფინანსური შემოსავალი	7	-	7
ფინანსური ხარჯი	(1,979)	61	(1,918)
საკურსო მოგება	4,106	(328)	3,778
მოგება დაბეგვრამდე	**6,116**	**(267)**	**5,849**
მოგების გადასახადი	(9)	-	(9)
წლის სრული შემოსავალი	**6,107**	**(267)**	**5,840**

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს და 2022 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2022 წლის 1 იანვარი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება**. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	5-20
მანქანა-ანადგარები	5-12
სატრანსპორტო საშუალებები	5-12
კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	5
ავეჯი	5
სხვა	5-20

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება**. არამატერიალური აქტივები მოიცავს ლიცენზიებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.
- ამორტიზაცია ლიცენზიებზე გამოითვლება წარმოებული ერთეულის მეთოდით. ჯგუფი ფლობს ლიცენზიებს რომლის ამორტიზაციის განაკვეთი განისაზღვრება მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	5-10 წელი
ლიცენზია	წარმოებული ერთეულის რაოდენობით

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიიღება, ხდება ავანსის გაუფასურება და აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის

თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ჯგუფი შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს მომხმარებლისთვის ცემენტის, ბეტონის და სხვა ინერტული მასალების რეალიზაციით, რომელიც აღიარდება მაშინ, როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები. ანარიცხები ისეთი ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. საწარმო ანარიცხს აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

(ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

(ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

(გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. ამონაგები რეალიზაციიდან

ამონაგები რეალიზაციიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	49,468	37,912
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	33,976	22,401
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	4,362	3,031
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,786	972
სხვა შემოსავლები	119	136
სულ	**89,711**	**64,452**

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
რეალიზებული ცემენტის თვითღირებულება	(36,441)	(31,321)
რეალიზებული ბეტონის თვითღირებულება	(24,219)	(14,458)
რეალიზებული ინერტული მასალის თვითღირებულება	(1,518)	(1,322)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,490)	(1,460)
მარაგების გაუფასურების რეზერვის შემცირება/(გაზრდა)	(127)	84
სხვა ხარჯი	(150)	(26)
სულ	**(63,945)**	**(48,503)**

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
გაყიდული საქონლის ტრანსპორტირების ხარჯი	(4,463)	(3,076)
თანამშრომელთა სარგებელი	(1,900)	(1,610)
საწვავის ხარჯი	(1,100)	(1,149)
ავტო ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯი	(1,035)	(688)
ცვეთა და ამორტიზაცია	(490)	(932)
რეკლამის ხარჯი	(53)	(40)
იჯარის ხარჯი	(4)	(40)
სხვა ხარჯი	(155)	(62)
სულ	**(9,200)**	**(7,597)**

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022
თანამშრომელთა სარგებელი	(3,349)	(2,698)
დაზღვევის ხარჯი	(242)	(155)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(179)	(283)
საგადასახადო ხარჯი	(163)	(162)
პროფესიული მომსახურების ხარჯი	(102)	(72)
საპენსიო ხარჯი	(89)	(73)
ცვეთა და ამორტიზაცია	(84)	(141)
საბანკო ხარჯები	(70)	(69)
ოფისის ხარჯები	(63)	(61)
დაცვის ხარჯი	(56)	(51)
საწვავის ხარჯი	(53)	(50)
კომუნალური ხარჯი	(33)	(31)
კომუნიკაციის ხარჯი	(19)	(18)
სხვა	(196)	(362)
სულ	**(4,698)**	**(4,226)**

10. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2023	2022 (გადაანგარიშებული)
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	(1,139)	(1,119)
ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი	(579)	(799)
სულ ფინანსური ხარჯი	**(1,718)**	**(1,918)**

11. ძირითადი საშუალებები

ისტორული ღირებულება	მიწა	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერები და საოფისე ინვენტარი	ავეჯი და ფურნიტურა	სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ ძირითადი საშუალებები
1 იანვარი 2022	**11,978**	**5,073**	**11,252**	**9,143**	**205**	**38**	**166**	**308**	**38,163**
შემოსვლა	-	2	-	105	9	1	21	4	142
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(11)	(44)	-	-	-	(3)	(58)
31 დეკემბერი 2022	**11,978**	**5,075**	**11,241**	**9,204**	**214**	**39**	**187**	**309**	**38,247**
შემოსვლა	-	93	339	1,186	24	6	38	129	1,815
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(17)	(168)	-	-	-	(67)	(252)
31 დეკემბერი 2023	**11,978**	**5,168**	**11,563**	**10,222**	**238**	**45**	**225**	**371**	**39,810**
დაგროვილი ცვეთა									
1 იანვარი 2022	**-**	**(1,403)**	**(5,205)**	**(6,068)**	**(172)**	**(27)**	**(97)**	**-**	**(12,972)**
ცვეთის ხარჯი	-	(266)	(995)	(1,208)	(15)	(2)	(22)	-	(2,508)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	7	40	-	-	-	-	47
31 დეკემბერი 2022	**-**	**(1,669)**	**(6,193)**	**(7,236)**	**(187)**	**(29)**	**(119)**	**-**	**(15,433)**
ცვეთის ხარჯი	-	(267)	(834)	(783)	(12)	(1)	(23)	-	(1,920)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	14	143	-	-	-	-	157
31 დეკემბერი 2023	**-**	**(1,936)**	**(7,013)**	**(7,876)**	**(199)**	**(30)**	**(142)**	**-**	**(17,196)**
საბალანსო ღირებულება									
1 იანვარი 2022	**11,978**	**3,670**	**6,047**	**3,075**	**33**	**11**	**69**	**308**	**25,191**
31 დეკემბერი 2022	**11,978**	**3,406**	**5,048**	**1,968**	**27**	**10**	**68**	**309**	**22,814**
31 დეკემბერი 2023	**11,978**	**3,232**	**4,550**	**2,346**	**39**	**15**	**83**	**371**	**22,614**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5,141 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი საშუალებები (2022 – 1,326 ლარი) სრულად იყო გაცვეთილი, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა საოპერაციო საქმიანობაში.

12. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ არამატერიალური აქტივები
1 იანვარი 2022	**893**	**22**	**915**
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**893**	**22**	**915**
შემოსვლა	249	20	269
გასვლა/ჩამოწერა	(18)	-	(18)
31 დეკემბერი 2023	**1,124**	**42**	**1,166**
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 იანვარი 2022	**(480)**	**(8)**	**(488)**
ამორტიზაციის ხარჯი	(106)	(1)	(107)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**(586)**	**(9)**	**(595)**
ამორტიზაციის ხარჯი	(273)	(3)	(276)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2023	**(859)**	**(12)**	**(871)**
საბალანსო ღირებულება			
1 იანვარი 2022	**413**	**14**	**427**
31 დეკემბერი 2022	**307**	**13**	**320**
31 დეკემბერი 2023	**265**	**30**	**295**

ჯგუფი ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას ქვიშა-ღორღის მოსაპოვებლად და კომპიუტერულ პროგრამებს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის.

13. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ნედლეული და მასალები	1,986	1,290	1,531
მარაგ-ნაწილები	1,260	1,704	1,345
მზა პროდუქცია	1,227	1,091	1,018
საწვავი და საპოხი მასალები	79	37	56
სხვა მარაგები	38	17	16
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	**4,590**	**4,139**	**3,965**
შემცირება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	(1,395)	(1,269)	(1,750)
სასაქონლო მატერიალური მარაგები შემცირებული ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე	**3,195**	**2,870**	**2,215**

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	4,638	4,341	4,353
სავაჭრო მოთხოვნა დაკავშირებულ მხარესთან	2,267	2,268	3,722
სხვა	289	174	143
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	**7,194**	**6,783**	**8,218**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,699)	(1,733)	(1,450)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	**5,495**	**5,050**	**6,768**
გაცემული ავანსები	567	236	108
ანარიცხი უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	**6,062**	**5,286**	**6,876**

უიმედო და საეჭვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნები
1 იანვარი 2022	**(1,450)**
მოგება/(ზარალში) აღიარებული	(283)
31 დეკემბერი 2022	**(1,733)**
მოგება/(ზარალში) აღიარებული	34
31 დეკემბერი 2023	**(1,699)**

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	1 იანვარი 2022
ფული ბაკში ეროვნულ ვალუტაში	8,292	2,775	641
ფული ეროვნულ ვალუტაში სალაროში	1,159	349	224
სულ	**9,451**	**3,124**	**865**

16. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

მშობელი კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 32,497 ლარს და დაყოფილია 216,644 ჩვეულებრივ აქციად. ერთი ჩვეულებრივი აქციის ფასი არის 0.15 ლარი.

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა მცირედით შეიცვალა, ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ წარმოდგენიალია პირველ შენიშვნაში.

16. კაპიტალი (გაგრძელება)

საემისიო შემოსავალი/სახაზინო აქციები

სს „კავკაზ ცემენტი“-მა 2018 წლის 26 დეკემბერს გამოისყიდა 14,428,520 ცალი ფასიანი ქაღალდი (აქცია), რაც შეადგენს აქციათა საერთო რაოდენობის 6,66%-ს, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,032 ლარი. 2022 წელს მშობელმა კომპანიამ დამატებით გამოისყიდა 9,030,073 ცალი ფასიანი ქაღალდი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1,060 ლარი. აღნიშნული სახაზინო აქციები 2022 წელს სრულად რეალიზებულ იქნა შპს "ანოდაინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."-ზე. საემისიო შემოსავალში მოცემული თანხა წარმოადგენს სხვაობას სახაზინო აქციების ღირებულებასა და სარეალიზაციო ფასს შორის.

კაპიტალში კონტრიბუცია

კაპიტალში კონტრიბუცია წარმოადგენს სხვაობას დამფუძნებლისგან მიღებული სესხის საბალანსო ღირებულებასა და სესხის დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, ფულადი ნაკადები დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დივიდენდები

ჯგუფში შემავალმა კომპანიამ შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუპმა“ 2023 წელს გამოაცხადა და სრულად გადაიხადა დივიდენდი.

17. მიღებული სესხები

გრძელვადიანი სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ლარი	24,397	23,368	27,658
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	2,836	4,237	3,107
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	732	-	158
სულ გრძელვადიანი სესხები		**27,965**	**27,605**	**30,923**

მოკლევადიანი სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	ლარი	6	136	442
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	-	-	2,309
ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	დოლარი	-	-	737
სულ მოკლევადიანი სესხები		**6**	**136**	**3,488**

18. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022 (გადაანგარიშებული)	1 იანვარი 2022
სახელფასო ვალდებულება	3,717	3,974	4,911
სავაჭრო ვალდებულებები	2,104	2,200	2,715
მიღებული ავანსები	264	184	58
სხვა	176	606	159
სულ	**6,261**	**6,964**	**7,843**

20. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა დაკავშირებულ მხარეებთან არსებული გადაუხდელი ნაშთები და ოპერაციები.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	**31 დეკემბერი 2023**	**31 დეკემბერი 2022**	**1 იანვარი 2022**
მიღებული სესხი	24,397	25,514	28,100

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	**2023**	**2022**
სესხის პროცენტი	1,180	1,119

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან	**2023**	**2022**
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	1,371	1,401

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

22. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2024 წლის იანვარში ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება და გაყიდა შპს „ჯორჯიან ბილდინგ ჯგუფ“-ის 60%-იანი წილი.

სს „კავკაზ ცემენტი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

კავკაზ ცემენტი სააქციო საზოგადოება, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საზოგადოება დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2008 წელს.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მმდგომარებით სს „კავკაზ ცემენტის“ აქციონერები არიან:

აქციონერები	**31 დეკემბერი 2023**	**31 დეკემბერი 2022**	**1 იანვარი 2022**
შპს "ანოდაინ ჰოლდინგ ელ.ელ.სი."	77.51%	87.07%	87.07%
ხუნწარია ირაკლი	3.34%	3.34%	3.34%
როდძიენკო პოლ	6.65%	1.56%	1.56%
ბიბილეიშვილი ანდრო	12.50%	0.39%	0.39%
დენის კარლ პრაისი	0.0015%	0.0015%	0.0015%
სს კავკაზ ცემენტი (სახაზინო აქციები)	-	6.66%	6.66%
ტაბატაძე ნიკა	-	0.49%	0.49%
ტაბატაძე სოფიო	-	0.49%	0.49%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით სს „კავკაზ ცემენტის“ დირექტორი იყო ანდრო ბიბილეიშვილი.

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

მშობელ კომპანიას ინვესტიციების მართვის გარდა 2023 წლის განმავლობაში სხვა საქმიანობა არ განუხორციელებია.

ჯგუფში შემავალი შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქვიშა-ღორღის მოპოვება, ცემენტის, ბეტონისა და ინერტული მასალების წარმოება და რეალიზაცია საბითუმო საცალო მოვაჭრეებზე.

ჯგუფის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2023	**2022**
შემოსავალი ცემენტის რეალიზაციიდან	49,468	37,912
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	33,976	22,401
შემოსავალი ინერტული მასალების რეალიზაციიდან	4,362	3,031
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	1,786	972
სხვა შემოსავლები	119	136
სულ	**89,711**	**64,452**

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ჯგუფის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფი“.

ამჟამად ჯგუფს მოპოვებული აქვს კასპის რაიონსა და მცხეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ქსნის ტერიტორიაზე, სოფელ ქსოვრისის, თეზის, ფერმისა და ჩანგილარის ქვიშა-ხრეშისა და წყლის მოპოვების ლიცენზიები.

ჯგუფს ძირითად აქტივებად ერიცხება მიწა, ადმინისტრაციული შენობა, საწარმოო შენობები და ცემენტის საწარმოო დანადგარები, სადაც ახორციელებს ცემენტისა და ბეტონის წარმოებას.

ჯგუფის გაყიდვების დიდ ნაწილს შეადგენს ცემენტისა და ბეტონის რეალიზაცია, საიდანაც 90% მოდის მსხვილ სამშენებლო კომპანიებზე, ხოლო 10% საცალო მოვაჭრეებზე.

ბაზარზე ჯგუფი ცემენტისა და ბეტონის რეალიზაციას ახორციელებს როგორც საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით, ასევე სხვა კომპანიებისგან ლოჯისტიკური მომსახურების შესყიდვით.

ჯგუფი ეწევა მიწოდების, პომპისა და ბეტონის ჩასხმის მომსახურებას, აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს მთლიანი რეალიზაციის 0.1%-ს.

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

სტრუქტურა.

მშობელი კომპანიის გენერალური დირექტორი 2022 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ანდრო ბიბილეიშვილი. წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

ჯგუფის სტრუქტურა.

კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად ,,ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს ჯორჯიან ბილდინგ გროუფ	ცემენტისა და ბეტონის წარმოება/რეალიზაცია	60%	60%
შპს კავკაზ ცემენტ ჯორჯია	ინერტული მასალების ამოღება/რეალიზაცია	100%	100%
შპს სურამის ქვიშა	უმოქმედო	100%	100%
შპს კავკაზ ცემენტ ვესტ	უმოქმედო	16.74%	16.74%
შპს თბილცემენტი	უმოქმედო	61.8%	61.8%

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის შემოსავალმა შეადგინა 89,711 ლარი, რაც 2022 წელთან შედარებით 39%-ით გაიზარდა.

ძირითადი კოეფიციენტები:	2023	2022
სულ შემოსავალი	89,711	64,452
სულ აქტივები	41,621	34,446
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	160	155
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.45	1.07
მარაგების ბრუნვადობა (დღე)	18.24	21.60
კრედიტორების ბრუნვადობა (დღე)	24.67	29.95
დებიტორების ბრუნვადობა დღე	33.74	52.42

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფის საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2023 წელს შეადგენდა - 160 (2022-155). ჯგუფს აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, ჯგუფის საქმიანობა ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად. ჯგუფის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ცემენტის წარმოებისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია კლინკერი, რომლის უმსხვილესი იმპორტიორი საქართველოში შპს „ჰაიდელბერგცემეტნ ჯორჯიაა“. ჯგუფი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აღნიშნულ

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

მომწოდებელზე, თუმცა აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს ჯგუფისთვის რისკს, რადგან მას შეუძლია აზერბაიჯანიდან იმპორტირებული კლინკერის წილის მნიშვნელოვნად გაზრდა.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება, არსებული მომხმარებლების კმაყოფილებაზე ზრუნვა და ჯგუფის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში ტექნოლოგიური სიახლეებისა და ბაზრის არებული კონიუქტურის გათვალისწინება.

ჯგუფის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია:

ახალი მომხმარებლების მოზიდვა

ჯგუფი მუდმივად ცდილობს გაუმჯობესოს მომსახურების ხარისხი და შესთავაზოს ხელსაყრელი კომერციული პირობები არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებს, რათა მოხდეს მომხმარებელთა ახალი სეგმენტის მოზიდვა და შესაბამისად რეალიზაციის მოცულობის ზრდა.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ჯგუფის კაპიტალის და ბალანსის სტრუქტურაში არ მომხდარა მნიშველოვანი ცვლილებები.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკენომიკური პარამეტრები:

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

	2023	2022
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,736	3,689
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	30.5	24.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	8,210	6,672
მშპ-ის რეალური ზრდა, %	7.5%	10.1%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.5%	11.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,595	2,000
უმუშევრობის დონე, %	16.4%	17.3%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფს წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. ჯგუფის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 16 დეკემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 16 დეკემბერს:

ანდრო ბიბილეიშვილი
დირექტორი